



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №65/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 10 აპრილის №65 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მაისის №202/65-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 10 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსმართლე --- სრულიად უსაფუძვლოდ ამორიცხა სარჩელიდან --- და გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ ერთი მოპასუხის, --- მიმართ. --- არის --- პოლიციის თანამშრომელი და ჰყავს გავლენიანი მეგობრები, ამიტომ, მოსამართლე იყო მიკერძოებული. იმის გამო, რომ --- არ მიიღო არანაირი გადაწყვეტილება --- მიმართ, საჩივრის ავტორი იძულებული გახდა კიდევ ერთი სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის. ეს სარჩელი განსახილველად ისევ მოსამართლე --- გადაეცა, რომელმაც ისევ არასწორად გადაწყვიტა საქმე და არ მიიღო სარჩელი წარმოებაში.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 03 სექტემბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების, --- და --- მიმართ და მათთვის --- ლარის დაკისრება მოითხოვა.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2016 წლის 10 თებერვალს, რომლითაც მოსარჩელის, --- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, --- სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა --- ლარის გადახდა. გადაწყვეტილებაში მოსამართლე განმარტავდა, რომ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნაში თანხის დაკისრებას მოითხოვდა მხოლოდ --- შესაბამისად, სასამართლო მსჯელობდა მხოლოდ --- მიმართ მოთხოვნის მართებულობაზე (-- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 05 ივლისის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის განჩინებებით პირველი ინსტანციის აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში).

2.2. 2019 წლის 13 მარტს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს სადაც აღნიშნავდა, რომ 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში მოსამართლე -- -- დაუშვა შეცდომა, არ იმსჯელა მოპასუხე -- -- თანხის დაკისრების თაობაზე და შესაბამისად, არსებობდა 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში უსწორობების გასწორების სამართლებრივი საფუძველი. 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ, არ დაკმაყოფილდა (მოსამართლე -- --).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივნისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვსაზღვროთ, მოსამართლის კონკრეტული ქმედებები შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებასა და კანონიერებას. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძველად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი გადაწყვეტილების/განჩინების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლეთა მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მან კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოსამართლე -- -- უარი უთხრა მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება არც წინასწარი მოკვლევის შედეგად განხორციელებული მოქმედებებით და არც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. 2019 წლის 13 მარტს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში

უსწორობების გასწორების მოთხოვნით, თუმცა საჩივრის ავტორი არ შეიძლება თავის საჩივარში „სარჩელით მიმართვის“ ქვეშ გულისხმობდეს სწორედ ამ წარმოებას, რადგან 2016 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში უსწორობების გასწორებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება (მოსამართლე -- --) მიღებულია საჩივრის ავტორის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის საჩივრით მიმართვის შემდეგ, 2019 წლის 11 აპრილს.

შესაბამისად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ გამოიკვეთა საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივნისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2019 წლის 10 აპრილის №65 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2019 წლის 10 აპრილის №65 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე
-- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი